ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 348

"25" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა №19-ში არსებული 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.039) 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გორგასალისთვის" (ს/ნ. 203826342) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა №19-ში არსებული 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.039) 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გორგასალისთვის" (ს/ნ. 203826342) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 30 ივნისის №25.1088.1231 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ათონელის ქუჩა №19-ში არსებული 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.039) ამ განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ სიტუაციურ ნახაზზე მონიშნული 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გორგასალისთვის" (ს/ნ. 203826342) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს განთავსების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 7 200 (შვიდი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე